ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

11.09.2015 №169

თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2015 წლის 3 სექტემბრის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 10 სექტემბრიდან და დასრულდეს 2015 წლის 12 ოქტომბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შენობაში (მის: ჭავჭავაძის გამზ.№60, ოთახი №232 ტელ: 2 22-40-92), 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს 2015 წლის 15 ოქტომბერს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

- **გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილება** – უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული – სპეციალობით მათემატიკოსი, ღვარცოფული პროცესების მათემატიკური მოდელირების მიმართულებით (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი);
- **მელიორაციის განყოფილება** – უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული – სპეციალობით ფიზიკოსი, მელიორაციის დარგის მიმართულებით (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი);

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა ბოლო 10 წელში (დამოწმებული);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა 5 წელში (ჩამონათვალი);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი ბოლო 5 წელში.

ი) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაცია).